ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №727334

ნომერი: AR1135502

თარიღი : 31.05.2013

გაცემის თარიღი : 24.06.2013

გაცნობის თარიღი : 24.06.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბროსე , N 2 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევან ფანცულაია პ/ნ 01008010269
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 66 ბ. 5

ორგანიზაცია:

- შპს "არტსტუდიო პროექტი" კოდი: 204489393

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 20 მაისის #689253 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2013 წლის 31 მაისს #არ1135502 განცხადებით მომართა მოქ. ქეთევან ფანცულაიმ და მოითხოვა სამსახურის 20.05.2013წ. #689253 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისი 96–ე მუხლის თანახმად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არიქტექტურის სამსახურის 20.05.2013წ. #689253 ბრძანებით ქ. თბილისში, ბროსეს ქ. #2–ში, სააქციო საზოგადოება „აიდეკო“–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტისა და შეთანხმებული საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში შეცდომით იქნა დაფიქსირებული სამშენებლო ობიექტის საპროექტო საერთო ფართის, საზაფხულო და საცხოვრებელი ფართების ციფრობრივი მაჩვენებლები. კერძოდ: საერთო ფართად 18231.5 კვ.მ.–ის ნაცვლად უნდა იყოს 18229.9 კვ.მ., საცხოვრებელ ფართად 7303.5 კვ.მ.–ის ნაცვლად 7297.7კვ.მ. და საზაფხულო ფართად ნაცვლად 973.3 კვ.მ.–სა უნდა დაფიქსირებულიყო 977.5 კვ.მ. ამასთან, შეცდომის იქნა დაფიქსირებული სარეკონსტრუქციო შენობის არსებული საერთო, საცხოვრებელი და საზაფხულო ფართები.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 20 მაისის #689253 ბრძანებაში. კერძოდ,1) პროექტირების შედეგად მიღებულ ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში საერთო, საცხოვრებელი და საზაფხულო ფართები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: საერთო ფართი – 18229.9 კვ.მ.; საცხოვრებელი ფართი – 7297.7კვ.მ. და საზაფხულო ფართი – 977.5 კვ.მ.; 2) სარეკონსტრუქციო შენოა ნაგებობის (არსებულ) ტექნიკურ ეკონომიკურ მაჩვენებლებში საერთო ფართად დაფიქსირდეს – 18229.2 კვ.მ.; საცხოვრებელ ფართად – 7266.2 კვ.მ. და საზაფხულო ფართად – 1005.6 კვ.მ.;
2. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 20 მაისის #689253 ბრძანებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქ. №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.